"ვამტკიცებ"
აჭარის ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი ს. მელია

საკვალიფიკაციო ტურნირი V, IV და III სპორტულ თანრიგზე

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ტურნირის ორგანიზატორი: აჭარის ჭადრაკის ფედერაცია;

2. ჩატარების დრო და ადგილი: 2-3 ნოემბერი, მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე. მის: ლეონიძის 15.

3. ჩატარების სისტემა: ტურნირი ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული ან წრიული სისტემით 7 ტურად. ცვლილების საჭიროების შემთხვევაში, ტურნირის სისტემას, დროის კონტროლს და ტურის დაწყების საათს განსაზღვრავს ორგანიზატორი.

4. დროის კონტროლი: თითოეულ მონაწილეს მიეცემა 15 წუთი პარტიის ბოლომდე.

5. მონაწილენი: ტურნირში დაიშვებიან საქართველოსა და მსოფლიოს საჭადრაკო ორგანიზაციის წევრი სპორტსმენები.

7. რეგისტრაცია: მონაწილეებმა რეგისტრაციისთვის უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/khRPvWzjSkCJi7DdA
   რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2024 წლის 1 ნოემბრის 19:00 საათი.
   დაგვიანებული რეგისტრაციის შემთხვევაში მონაწილის ტურნირში დაშვებას წყვიტავს ორგანიზატორი.
   რეგისტრაციაზე და კენჭისყრაზე საკონტაქტო პირია მსაჯი - 558 410904.

8. ტურნირის განრიგი:
   ტურნირის გახსნა: 2 ნოემბერი, 13:00 სთ.
   I-II-III-IV ტური - 2 ნოემბერი 13:30 საათიდან
   (I ტური დაიწყება 13:30 საათზე, ყოველი მომდევნო კი თითოეული ტურის დასრულების შემდეგ).
   V-VI-VII ტური - 3 ნოემბერი, დასაწყისი 13:00 სთ.
   ტურნირის დახურვა: 3 ნოემბერი, 15:00 სთ.

9. სატურნირო შესატანი: 10 ლარი (უნაღდო ანგარიშწორებით).
   აჭარის ჭადრაკის ფედერაციის საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკი"
   ანგარიშის ნომერი: **GE95BG 0000 000 3630 99200**

10. ჩემპიონატში მონაწილეობისათვის მოჭადრაკეებმა უნდა გადაიხადონ ფედერაციის წლიური საწევრო შესატანი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე: სს საქართველოს ბანკი GE30BG0000000584705115

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრმა და გაწევრიანების მსურველმა 18 წლამდე ასაკის პირებმა უნდა შეავსონ ელექტრონული სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/vJGBfSvyoMGPpAgDA
ატვირთონ შესაბამისი დოკუმენტები (პასპორტის, პირადობის ან დაბადების მოწმობის ასლი, წლიური საწევრო თანხის გადახდის ქვითარი).

11. გამარჯვებულები:
   გამარჯვებულები გამოვლინდებიან ქულათა მეტი რაოდენობის მიხედვით.
   თაი – ბრეიქი: ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

   შვეიცარული ტურნირის დროს:
1. ბუჰგოლცი -1 (უდაბლესის გამოკლებით);
2. ბუჰგოლცი;
3. ურთიერთშორის შეხვედრა;
4. მოგებების რაოდენობა;
5. პროგრესი (რეგრესით).

   წრიული ტურნირის დროს:
   1. ურთიერთშორის შეხვედრა;
   2. მოგებების მეტი რაოდენობა;
   3. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
   4. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია, ფიდეს წესების მიხედვით ჩატარდება დამატებითი მატჩები.

12. დაჯილდოება:
   - 1-3 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლებითა და დიპლომებით.
   - V თანრიგის ტურნირში, მოჭადრაკეები, რომლებიც დააგროვებენ 4 და მეტ ქულას მიენიჭებათ V სპორტული თანრიგის 1 ბალი.
   - IV თანრიგის ტურნირში, მოჭადრაკეები, რომლებიც დააგროვებენ 4.5 და მეტ ქულას მიენიჭებათ IV სპორტული თანრიგის 1 ბალი.
   - III თანრიგის ტურნირში, მოჭადრაკეები, რომლებიც დააგროვებენ 5 და მეტ ქულას მიენიჭებათ III სპორტული თანრიგის 1 ბალი.

   ტურნირის სასტარტო სია რეგისტრაციის ვადის დასრულების შემდეგ განთავსდება აჭარის ჭადრაკის ფედერაციის ვებ-გვერდზე www.acf.ge

   ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო დიდოსტატი სალომე მელია